ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა № 1 9 0 4 2 0 2 2 - 1 (# ს - 5 8)

ქ. თბილისი 18 მაისი,2022 წ.

1. ხელშეკრულების მხარეები

წინამდებარე ხელშეკრულების მხარეებს წარმოადგენენ:

1.1 **სსიპ კოლეჯი „მოდუსი"** წარმოდგენილი მისი დირექტორის **მ/შ დიანა გოშაძის** სახით, (შემდგომში როგორც **დამკვეთი**)

1.2 **შ.პ.ს. „მულტიტესტი"** წარმოდგენილი მისი დირექტორის ლევან კალანდაძის სახით (შემდგომში როგორც **შემსრულებელი**)

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ნიადაგის ქიმიური ანალიზი, დასკვნები და რეკომენდაციები, თანამედროვე სტანდარტების და მეთოდიკების შესაბამისად.

3. სამუშაოს ღირებულება და გადახდის პირობები.

3.1 შესრულებული სამუშაოს მთლიანი ღირებულება შეადგენს 396,0 ლარს (მომსახირების ჩამონათვალი იხილეთ დანართი N1-ის სახით) და აისახება **შემსრულებლის** მიერ გაცემულ ანგარიშ-ფაქტურაში, მისი წარდგენის დროისათვის საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული დაბეგვრისა და ანარიცხების ჩათვლით. (CPV71900000)

3.2 დამკვეთი ვალდებულია სამუშაოს ღირებულება გადაიხადოს შემსრულებლის მიერ ანგარიშ-ფაქტურის წარდგენიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღის ვადაში.

4. საჯარიმო სანქციები

4.1 თანხის დროულად გადაუხდელობის შემთხვევაში, დამკვეთს ეკისრება პირგასამტეხლო გადაუხდელი თანხის 0.5%, ყოველ ვადა გადაცილებულ დღეზე.

5. მხარეთა უფლებები

5.1 **დამკვეთი უფლებამოსილია:**

5.1.1 მოსთხოვოს **შემსრულებელს** ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების დროულად და ხარისხიანად შესრულება.

5.2 **შემსრულებელი უფლებამოსილია:**

5.2.1 მოსთხოვოს **დამკვეთს** ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროულად შესრულება.

6. მხარეთა ვალდებულებები

6.1 **დამკვეთი ვალდებულია:**

6.1.1 ანალიტიკური ექსპერტიზის ჩასატარებლად წარუდგინოს **შემსრულებელს** კონკრეტული შეკვეთის ტექნიკური დავალება.

6.2 **შემსრულებელი ვალდებულია:**

6.2.1 წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში ხარისხიანად შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები.

6.2.2 ჩაატაროს ლაბორატორიული კვლევა ტექნიკური დავალების არსებული სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად.

6.2.3 ნიმუშის მიღებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა გასცეს ანალიტიკური გამოცდის ოქმი, დასკვნები და რეკომენდაციები.

7. მხარეთა პასუხისმგებლობა. დავების გადაწყვეტა

7.1 მხარეები ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის პასუხს აგებენ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7.2 მხარეები უნაზღაურებენ ერთმანეთს თავიანთი ბრალეული ქმედებით მიყენებულ ზიანს მხარეებს შორის წამოჭრილი დავა, ურთიერთშეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, განიხილება სასამართლოს მიერ.

8.ხელშეკრულების მოქმედების ვადა. ცვლილებების შეტანა.

8.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

8.2 ხელშეკრულებაში ცვლილებების და დამატებების შეტანა შესაძლებებლია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

8.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი გადაეცემა დამკვეთს, ხოლო მეორე შემსრულებელს.

9. კონფიდენციიალურობა

9.1 „მხარეები“ თანხმდებიან, რომ წინამდებარე „ხელშეკრულებიდან“ და მათი საქმიანი ურთიერთობიდან გამომდინარე მიღებული ნებისმიერი ინფორმაცია (იქნება ეს წერილობითი, ზეპირი, ელექტრონული ან ნებისმიერი სხვა ფორმით მიწოდებული) არის კონფიდენციალური და დაუშვებელია აღნიშნული ინფორმაციის მესამე პირებისთვის ნებისმიერი ფორმით გადაცემა მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

9.2 კონფიდენციალური ინფორმაციის მესამე პირებისთვის გადაცემა დასაშვებია მხოლოდ კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

9.3 ინფორმაცია არ ითვლება კონფიდენციალურად თუ მხარისთვის ის ცნობილი გახდა სხვა წყაროდან, ან აღნიშნული ინფორმაცია საჯაროა.

9.4 „ხელშეკრულების“ 9.1, 9.2 და 9.3 პუნქტები სამართლებრივ ძალას ინარჩუნებენ „ხელშეკრულების“ შეწყვეტის შემდეგაც.

10. ფორსმაჟორი

ა. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის, თუ ეს შეუსრულებლობა ან შესრულების შეფერხების მიზეზი გამოწვეულია ფორსმაჟორული გარემოებებით. ამასთან ფორსმაჟორული გარემოებების შემთხვევაში წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება შეჩერდება ფორსმაჟორული გარემოებების დამთავრებამდე. თუ ფორსმაჟორული გარემოებები გრძელდება 1 თვეზე მეტი ხნით, მხარეები უფლებამოსილნი არიან უარი თქვან ამ ხელშეკრულების გაგრძელებაზე.

ბ. ფორსმაჟორული გარემოებების მოსალოდნელი დადგომის შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე, მხარეებმა დაუყონებლივ უნდა აცნობონ ერთმანეთს ამის შესახებ, რათა მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი შესაძლო ზიანი.

11. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

დამკვეთი

სსიპ კოლეჯი „მოდუსი"
მის: ქ. რუსთავი, შარტავას №4
ს.კ. 216350829
სახელმწიფო ხაზინა
ხაზინის ერთიანი ანგარიში
ბ/კ TRESGE22
ა/ა GE 24 NB 0330 1002 0016 5022

დირექტორ ხ მ/შ

დიანა გოშაძე

შემსრულებელი

შპს ”მულტიტესტი”

იურიდიული მისამართი:
ქ. თბილისი, სოფ. დიღომი,
დ.აღმაშენებლის ქ.№13

საბანკო რეკვიზიტები:
საიდენტიფიკაციო კოდი: 205025676
ბანკი: სს **”თი-ბი-სი ბანკი”**,
ქ. თბილისი, მარჯანიშვილის ქ №5.
ბანკის კოდის TBCBGE22
ა/ა № GE24TB0600000360200314

დირექტორი

ლევან კალანდაძე

Levan Kalandadze 01018001271
Digitally signed by Levan Kalandadze
Date: 2022.05.18 17:56:18

დანართი N1

N	პარამეტრები	ერთი ნიმუშის ანალიზის ღირებულება დღგ-ს ჩათვლით
1	ჰუმუსი %	20.00
2	შესათვისებელი კალიუმი K_2O	22.00
3	წყალბადის მაჩვენებელი pH (H_2O)	5.00
4	კარბონატები $CaCO_3$ %	12.00
5	შთანთქმული ფუძეები Mg	12.00
6	ამიაკური აზოტი მგ.ექვ/100გ	30.00
7	ნიტრატული აზოტი მგ.ექვ/100გ	42.00
8	წყლალხსნადი ფოსფორი მგ.ექვ/100გ	25.00
9	საერთო მარილშემცველობა %	15.00
10	ნიადაგის ხვედრითი წონა გრ/სმ^3	20.00
11	ნიადაგის ფორიანობა %	20.00
12	მექანიკური შედგენილობა	48.00
13	დასკვნები და რეკომენდაციები	125.00
	ჯამი:	396.00